




საქართველოს ბიზნეს ასოციაცია



მოკლედ ეკონომიკაზე

მაისი, 2017



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

2017 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკის ზრდამ 5% შეადგინა

2016 წელს საქართველოში შექმნილმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა ჯამურად 33.9 მლრდ. ლარი შეადგინა. ნომინალური მშპ-ის წლიური ზრდა 6.8%-ს, ხოლო რეალური ზრდა 2.7%-ს გაუტოლდა. 2016 წელს მშპ-ის რეალური ზრდა ყველზე დაბალი იყო ბოლო 7 წლის განმავლობაში.


ცხრილი 1: მთლიანი შიდა პროდუქტი

	2015	2016	ზრდა
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. GEL)	31 755.6	33 921.6	6.8%
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. USD)	13 988.1	14 322.8	2.4%
მშპ ერთ სულზე (GEL)	8 550.9	9 117.7	6.6%
მშპ ერთ სულზე (USD)	3 766.6	3 852.5	2.3%
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	2.9%	2.7%	

წყარო: საქსტატი

გასული წლის მონაცემებით, საქართველოს მშპ-ის უდიდესი წილი მრეწველობასა (17.1%) და ვაჭრობაში (16.3%) იქმნება. რაც შეეხება სექტორების რეალურ ზრდას, გასულ წელს ზრდის ტემპი შემცირდა, მაგრამ პოზიტიური დარჩა თითქმის ყველა ძირითად სექტორში, გარდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისა. ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით სასტუმროებისა და რესტორნების სექტორი გამოირჩეოდა (9.9%). 9%-ზე მაღალი ზრდა ჰქონდა ასევე საფინანსო სექტორს.

გრაფიკი 1: სექტორების რეალური ზრდა




წყარო: საქსტატი

საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით 2017 წელს რეალური მშპ-ის ზრდა 4% იქნება, რასაც გაზრდილი შიდა მოთხოვნა განაპირობებს. დაკორექტირებული გაცვლითი კურსის და რეგიონში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს დასტაბილურების ფონზე 2017 წელს წმინდა ექსპორტის გაუმჯობესებას უნდა მოველოდეთ. არსებული პროგნოზით, მიმდინარე წელს წმინდა ექსპორტი მცირე, მაგრამ დადებით ეფექტს იქონიებს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე. 2017 წელი ეკონომიკის შედარებით მაღალი ზრდის ტემპით დაიწყო და, წინასწარი მონაცემებით, პირველ კვარტალში მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ 5% შეადგინა.

მსოფლიო ბანკის პროგნოზით მიმდინარე წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 3.5 % იქნება. ხოლო მთლიანად ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ზრდა 1.9% -ს მიაღწევს.

გრაფიკი 2: მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა




წყარო: მსოფლიო ბანკი

მარტში წლიურმა ინფლაციამ 5.4%-ს მიაღწია

2017 წლის პირველ კვარტალში ინფლაციის საშუალო დონე თითქმის 5 პროცენტი იყო. მიმდინარე წლის იანვრიდან ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა ძირითადად სანვავსა და თამბაქოზე აქციზის მატე-

ბამ გამოიწვია. მარტში წლიურმა ინფლაციამ 5.4% შეადგინა, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი ტრანსპორტის ფასების ზრდამ შეიტანა (18.7%). თამბაქოს ფასების წლიურმა მატებამ 33%-ს გადააჭარბა. სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფის პროდუქტების ინფლაციამ მარტში 5.4% შეადგინა, რაც ძირითადად მსოფლიო ბაზარზე შაქრის ფასის მატებამ განაპირობა.

გრაფიკი 3: წლიური ინფლაცია



2017 წლის მარტში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიურად 9.1%-ით გაიზარდა. ინდექსის ზრდაზე ყველაზე დიდი გავლენა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ფასების მატებამ (8.6%) განაპირობა.

გრაფიკი 4: სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი




პირველ კვარტალში ლარი აშშ დოლარის მიმართ 4.3%-ით გამყარდა

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წინა კვარტალთან შედარებით დაახლოებით 1.4%-ით გამყარდა. ამ პერიოდში ლარის რეალურმა გაცვლითმა კურსმა იმატა აშშ დოლარის, ევროს, ლირასა და რუბლის მიმართ. გამყარება განსაკუთრებით საგრძნობი გახდა თებერვალი-მარტის პერიოდში.

რაც შეეხება ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, იგი გასული წლის დეკემბერში მნიშვნელოვნად გაუფასურდა და დაბალ დონეზე შენარჩუნდა იანვარსა და თებერვალშიც. აღნიშნულ პერიოდში ლარი გაუფასურებული იყო როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ. ხოლო მარტში NEER ინდექსი თებერვალთან შედარებით 6.4%-ით გამყარდა. პირველ კვარტალში ლარი აშშ დოლარის მიმართ 4.3%-ით გამყარდა და მარტში 1 აშშ დოლარზე საშუალოდ 2.47 შეადგინა.

აღნიშნულ პერიოდში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი გამყარდა თურქული ლირას მიმართაც (7.3%-ით). ხოლო ევროსთან მიმართებაში 3%-ით გაუფასურდა. თუმცა, აპრილში ლარი-ევროს გაცვლითი კურსი შემცირდა და საშუალოდ 2.64 შეადგინა.

გრაფიკი 5: ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ექსპორტი ზრდას განაგრძობს, თუმცა კვლავ ჩამორჩება 2014 წლის მაჩვენებელს

2017 წლის პირველ კვარტალში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2285 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან იმპორტი 1708 მლნ., ხოლო ექსპორტი 577 მლნ. აშშ დოლარი იყო. აღსანიშნავია, რომ წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით იმპორტი 14.9%-ით, ხოლო ექსპორტი 30.3%-ით არის გაზრდილი. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ჯამური ექსპორტის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია 2015-2016 წლებთან შედარებით, იგი კვლავ ჩამორჩება 2014 წლის პირველი კვარტლის ექსპორტის მოცულობას (969 მლნ. აშშ დოლარი).

გრაფიკი 6: საქონლით საგარეო ვაჭრობა (მლნ. USD)




■ იმპორტი ■ ექსპორტი

* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი


გრაფიკი 7: საქონლით საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით (ათასი USD), I კვ. 2017 წელი



▲ ცვლილება 2016 წლის პირველ კვარტალთან შედარებით

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 8: ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (ათასი USD), I კვ. 2017 წელი



2017 წლის პირველ კვარტალში ექსპორტირებული ღვინის 60%-ზე მეტი, ხოლო ფეროშენადნობების და მინერალური წყლების თითქმის ნახევარი რუსეთის ბაზარზე გაიყიდა. რუსეთში ექსპორტის ზრდის პარალელურად იმატა დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტის წილმაც და მთლიანი ექსპორტის 35.5% შეადგინა. წინა წელთან შედარებით გაზრდილია ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის წილიც და 28%-ს უტოლდება.

პირველ კვარტალში იმპორტის ყველაზე დიდი ნაწილი თურქეთიდან განხორციელდა (16.2%), თუმცა წლიურად მისი მოცულობა 5.5%-ით არის შემცირებული. აღნიშნულ პერიოდში იმპორტირებული სასაქონლო ჯგუფებიდან უმსხვილესი - ნავთობის აირების 84% აზერბაიჯანიდან იმპორტირდა. 19%-ით არის გაზრდილი გერმანიიდან იმპორტი, რაც ნაწილობრივ ახალი ავტობუსების იმპორტს უკავშირდება.


პირველ კვარტალში საქართველოში ნახევარი მილიონი ტურისტი შემოვიდა

2017 წლის პირველ კვარტალში საქართველოში სულ 1 266 ათასი ვიზიტორი შემოვიდა, რაც 11.4%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის

მაჩვენებელს. ვიზიტორების 40%-ზე მეტი ტურისტი იყო (514 ათასი კაცი). მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ვიზიტორების რაოდენობა რუსეთიდან, ირანიდან და სომხეთიდან.


საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 435 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის პირველი კვარტალში მიღებულ შემოსავალს 15%-ით (57 მლნ. აშშ დოლარით) აღემატება.

გრაფიკი 9: საქართველოში შემომსვლელი ვიზიტორების განაწილება ქვეყნების მიხედვით, I კვ. 2017 წელი



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი 10: საქართველოში ტურისტების შემოსვლის დინამიკა




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2016 წელს თურქეთიდან 200 მლნ. დოლარით მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა

2016 წელს საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, წინასწარი მონაცემებით, ჯამურად 1 645 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 5%-ით (81 მლნ. აშშ დოლარით) აღემატება 2015 წლის ჯამურ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

ყველაზე მსხვილი ინვესტორი აზერბაიჯანია 578 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციით. 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს 200 მლნ. აშშ დოლარით მეტია ინვესტიციები თურქეთიდან და 272 მლნ.-ით მეორე ადგილს იკავებს აზერბაიჯანის შემდეგ. კვლავ უდიდეს ინვესტორებს შორის რჩებიან გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი, თუმცა, ამ ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები ჯამურად 353 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა 2015 წელთან შედარებით. 2016 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა პირდაპირი ინვესტიციები რუსეთიდან და ჩინეთიდანაც. ამავდროულად, 76 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა ინვესტიციები ჩეხეთიდან, რითიც იგი მეხუთე ადგილს იკავებს ინვესტორ ქვეყნებს შორის.


გრაფიკი 11: ქვეყნების წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2016 წელი



წყარო: საქსტატი

2016 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40% სატრანსპორტო, 12% ენერჯეტიკის, ხოლო 10% სამშენებლო სექტორში განხორციელდა. 2015 წელთან შედარებით 80%-ით გაიზარდა ინვესტიციები დამამუშავებელ მრეწველობაში და 120 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სექტორში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები 2016 წელს 113 მლნ. აშშ დოლარით (81%-ით) შემცირდა და 27 მლნ. შეადგინა.

გრაფიკი 12: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორებში (მლნ. USD)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები მატულობს

2017 წლის პირველ კვარტალში უცხოეთიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა 290 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით 18.2%-ით (53 მლნ. აშშ დოლარით) არის გაზრდილი. გამომგზავნ ქვეყნებს შორის კვლავ რუსეთი ლიდერობს (95 მლნ. აშშ დოლარი). პირველ კვარტალში რუსეთიდან მიღებული გზავნილები წლიურად 20 მლნ. აშშ დოლარით (21.2%) არის გაზრდილი. აღნიშნულ პერიოდში ასევე იმატა გზავნილებმა ისრაელიდან (49%), თურქეთიდან (27.8%), აშშ-დან (16.3%) და საბერძნეთიდან (12.3%).

გრაფიკი 13: ქვეყნების წილი მთლიან ფულად გზავნილებში, I კვ. 2017 წელი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა


2017 წლიდან ამოქმედდა საგადასახადო კოდექსში შესული მთელი რიგი ცვლილებები¹, რაც ბიუჯეტში მობილიზებულ საგადასახადო შემოსავლებზეც აისახა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2.3 მლრდ. ლარამდეა, რაც გასული წლის პირველ კვარტლთან შედარებით 16.2%-ით მეტია და გეგმას 8.5%-ით აჭარბებს. 26%-ით გადააჭარბა გეგმას მოგების გადასახადმა და 260 მლნ. ლარი შეადგინა. თუმცა, საგადასახადო შემოსავლების ყველაზე დიდი წილი დღგ-ზე მოდის, რომელიც გეგმაზე 160 მლნ. ლარით (20%) მეტია და 960 მლნ. ლარს შეადგენს.

გრაფიკი 14: მიღებული ფულადი გზავნილების დინამიკა (მლნ. USD)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრაფიკი 15: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (ათასი ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა


¹ მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი რეჟიმი; გაზრდილი აქციზის განაკვეთები სანავაგზე, თამბაქოს ნაწარმზე და მსუბუქ ავტომობილებზე; ქონების გადასახადი ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მსუბუქ ავტომობილზე; საქონლის მონოდებაზე/მომსახურების განწევაზე წინასწარ გადახდილი თანხების დაბეგვრის შეცვლილი წესი; ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობისთვის არსებული მოგების/საშემოსავლო გადასახადის გაზრდილი განაკვეთი.

**გალარების პროგრამის
შედეგად 80 მლნ. დოლარის
სესხები გალარდა**

საქართველოს მთავრობის ინიციატივით იანვარში დაწყებული სესხების გალარების ერთჯერადი პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 80 მლნ. აშშ დოლარამდე სესხები გალარდა და ლარში გამოსახული სესხების მოცულობამ პირველი კვარტლის ბოლოს 7.5 მლრდ. ლარს გადააჭარბა. შედეგად, პირველ კვარტალში სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი 4.3პპ-ით შემცირდა და 60.0%-ს გაუტოლდა.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მთლიანი სესხების წლიურმა ზრდამ 15.9% შეადგინა, რაც ძირითადად საცალო სესხების ზრდის ხარჯზე მოხდა.

გრაფიკი 16: სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირველი კვარტლის ბოლოს, საბანკო სექტორში არასაბანკო დეპოზიტების მოცულობა 16.1 მლრდ. ლარი იყო, რაც 12.6%-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. დეპოზიტების ლარიზაციის მაჩვენებელი 31 პროცენტს აღწევს. უცხოური ვალუტაში არსებული დეპოზიტების 85% აშშ დოლარშია, ხოლო 13% ევროში.

ბიბლიოგრაფია

- საქართველოს ეროვნული ბანკი. მიმდინარე მაკროეკონომიკური მიმოხილვა. მაისი 2017
- საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული პოლიტიკის ანგარიში. მაისი 2017
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება. მარტი 2017
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (წინასწარი). მარტი 2017
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში (წინასწარი შედეგები). იანვარი-მარტი 2017.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში. მარტი 2017.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ინფლაცია საქართველოში. მარტი 2017
- World Bank Group. Trade in Transition. May 2017.

წინამდებარე გამოცემა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა და არ ემსახურება საკონსულტაციო მიზნებს. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია არ არის პასუხისმგებელი გამოცემაში მითითებული წყაროების მონაცემების სიზუსტეზე.